რედაქტორის წინასიტყვაობა

სამეცნიერო ჟურნალი „ენათმეცნიერების საკითხები“ წარმოადგენს მნიშვნელოვან პერიოდულ გამოცემას, რომელშიც იბეჭდება ნაშრომები თეორიული, შედარებითი და გამოყენებითი ენათმეცნიერების, ქართველოლოგიის, აღმოსავლეთ-მცოდნეობის, კავკასიოლოგიის, დასავლეთევროპული ფილოლოგიისა და ენათმეცნი-ერების ისტორიის საკითხებზე. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის მიმართულების წარ-მომადგენლები, ხოლო სარედაქციო საბჭოს წევრები – გამოჩენილი ქართველი და უცხოელი ენათმეცნიერები. ჟურნალი „ენათმეცნიერების საკითხები“ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოდის 1999 წლიდან. 2007 წლიდან ჟურნალის გამომცემელი ახალი ფორმატითა და გაფართოებული თემატიკით არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. აღნიშნულ პერიოდში დაიბეჭდა 17 ნომერი, რომლებიც განთავსებულია გამომცემლობის ვებსაიტზე. „ენათმეცნიერების საკითხების“ 2025 წლის ნომერი (2025, N. 18. 145 გვ.), გამოირჩევა სტატიათა თემატური მრავალფეროვნებით და ეძღვნება ფრაზეოლოგიის, ქართველური ენების, ფონეტიკის, ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსის, სემანტიკის, ეტიმოლოგიის, ლექსიკოლოგიის, ენათა შეპირისპირებითი ანალიზის, ხაზოვანი წარწერების გაშიფვრისა და დიალექტოლოგიის საკითხებს.

ივანე ლეჟავა
ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული
ფონეტიკის სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი